პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 4 მაისი, 1952 წ. № 105 (9265). ფასი 20 კაპ.

## ხვალ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეა

გაზეთი არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია, არამედ აგრეთვე კოლექტიური ორგანიზატორია.

ვ. ი. ლენინი

ბეჭდვითი სიტყვა ყველაზე ძლიერი იარაღია, რომლის შემწეობითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს თავისი, მისთვის საჭირო ენით.

ი. ბ. სტალინი

## ბოლშევიკური პარტიის მძლავრი იარაღი

ხვალ მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეს. ორმოცი წლის წინათ, 1912 წლის 5 მაისს, ვ. ი. ლენინის მითითებით, ამხანაგ სტალინის ინიციატივით დაარსებულ იქნა ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“. რუსეთის რევოლუციური მუშათა კლასის გადაწყვეტილებით „პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლის დღე — 5 მაისი დაწესებულ იქნა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღედ.

თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ბოლშევიკური პრესა წარმოადგენდა ჩვენი პარტიის უძლიერეს იარაღს მშრომელთა განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ბოლშევიკურმა გაზეთებმა „ისკრამ“ და „ბრძოლამ“, „ვპერიოდმა“ და „ზვეზდამ“ უდიდესი როლი შეასრულეს ახალი ტიპის პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში, რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური დარაზმვის საქმეში. გაზეთმა „პრავდამ“, რომელიც იშვა ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, ბრწყინვალედ განაგრძო მათი გზა. „პრავდის“ საშუალებით პარტია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუშათა რევოლუციურ მასებთან, ამზადებდა მათ მომავალი რევოლუციისათვის. გაზეთ „პრავდასთან“ ერთად იზრდებოდა რევოლუციურ მუშათა მთელი თაობა, რომელმაც შემდეგში ბოლშევიკების — „პრავდისტების“, — როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ, — ხელმძღვანელობით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოახდინა.

„1912 წლის „პრავდა“ — ეს საძირკვლის ჩაყრაა 1917 წელს ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის“, — წერდა ამხანაგი სტალინი „პრავდის“ შესახებ.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პრესა ახალი ტიპის პრესაა. ჯერ კიდევ მისი შექმნის პერიოდში პროლეტარიატის დიდი ბელადები პრესის წინაშე სახავდნენ მასების კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის მეტად დიდ და საპატიო ამოცანის შესრულებას. ლენინურ-სტალინური „ისკრის“, „ბრძოლისა“ და „პრავდის“ რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილი ჩვენი პრესის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ უდიდეს ამოცანას იგი ყოველთვის წარმატებით ასრულებდა და კვლავ ასრულებს. ამიტომ არის, რომ მსოფლიოში არც ერთი ქვეყნის პრესას არ დაუმსახურებია იმდენი სახელი და სიყვარული მასებში, იმდენი პატივისცემა, რაც ჩვენს საბჭოთა პრესას აქვს დამსახურებული.

ლენინი და სტალინი ბოლშევიკური პრესის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სახავდნენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მშრომელთა ფართო მასების მჭიდროდ დარაზმვას, სახალხო მეურნეობისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის მასების მობილიზებას. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრის ნიმუშს ჩვენი გაზეთები და ჟურნალები იღებენ „პრავდისაგან“ და თავიანთ წვლილი შეაქვთ პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.

საბჭოთა ხალხმა ომისშემდგომი ხუთწლედის წარმატებით შესრულების შემდეგ ფართო მასშტაბით გააჩაღა დიადი მშენებლობანი ვოლგასა და დონზე, ამუ-დარიასა და დნეპრზე, თურქმენეთსა და ყირიმში, ყველა რესპუბლიკასა და მხარეში. კომუნიზმის დიად მშენებლობათა განხორციელებით საბჭოთა ხალხი ქმნის კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. დიდია ჩვენი პრესის როლი საბჭოთა ხალხის ამ უდიდესი ამოცანების გადაჭრის საქმეში. ჩვენმა გაზეთებმა ხელი უნდა შეუწყონ დიად მშენებლობათა დაკვეთების თავის დროზე შესრულებას, ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითი ინიციატივის საყოველთაო კუთვნილებად გადაქცევის საქმეს, ფაბრიკების, ქარხნების, მშენებლობების საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, უხვი მოსავლის მოყვანისათვის, მეცხოველეობის განვითარების დარგში დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საქმეს. ჩვენი გაზეთები მშრომელთა მოწინავე გამოცდილების გავრცელების მძლავრი საშუალებაა. რესპუბლიკურმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა გაზეთებმა ძალღონე არ უნდა დაიშურონ მრეწველობისა და ახალმშენებლობათა, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაციისათვის, იმისათვის, რომ იგი ათასებისა და მილიონების კუთვნილება გახადონ.

კერძოდ, საქართველოს მშრომელების წინაშე ამჟამად დგას უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა — მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარებასთან ერთად უახლოეს წლებში უნდა გადაიჭრას საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანა, კიდევ უფრო ფართოდ განვითარდეს მევენახეობა, მეცხოველეობა, ჩაისა და ციტრუსების კულტურა, მეხილეობა. ჩვენი პრესის ამოცანაა ფართოდ გაავრცელოს წარმოების ნოვატორთა და უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილება, დაეხმაროს პარტიას და საბჭოთა მთავრობას ნაკლოვანებათა მხილებისა და დროზე გამოსწორების საქმეში, სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის მშრომელთა შეჯიბრების მოწყობაში.

უდიდესი და პასუხსაგებია ჩვენი პრესის ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის დარგში, მასების კომუნისტურად აღზრდის, თვითეულ საბჭოთა ადამიანში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩვევათა აღზრდა-გამომუშავების საქმეში. ჩვენი გაზეთების, ჟურნალების ამოცანაა უფრო ფართოდ გააჩაღონ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი და ცხოველმყოფელი იდეების პროპაგანდა, გააჩაღონ შეუპოვარი ბრძოლა აპოლიტიკურობისა და უიდეობის, უგვარტომო კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული დასავლეთის გახრწნილი და გადაგვარებული კულტურის წინაშე ქედის მონურად მოხრის წინააღმდეგ, აღზარდონ საბჭოთა ადამიანები ხალხთა სტალინური მეგობრობის, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალკეთილშობილურ იდეებზე, ჩაუნერგონ მათ თავიანთი სოციალისტური სამშობლოთი ეროვნული სიამაყის გრძნობა. ეს არის ჩვენი გაზეთების ერთ-ერთი კეთილშობილური ამოცანა.

„ბეჭდვითი სიტყვა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ყველაზე ძლიერი იარაღია, რომლის შემწეობითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს თავისი, მისთვის საჭირო ენით“. საბჭოთა პრესა ნამდვილად სახალხო პრესაა, რომელიც ურღვევად არის დაკავშირებული მშრომელთა ფართო მასებთან. საკმარისია ცალკეულმა გაზეთმა ან ჟურნალმა შეასუსტოს თავისი კავშირი მასებთან, არ გაითვალისწინოს მათი მოთხოვნილებანი, ყურადღებით არ გამოეხმაუროს მათს შენიშვნებსა და სიგნალებს, რომ მან მყისვე დაკარგოს მკითხველთა ნდობა და გადაიქცეს მხოლოდ ვიწრო, სარედაქციო აპარატის ორგანოდ. ასეთი რამ მხოლოდ ბურჟუაზიული პრესის დამახასიათებელი თვისებაა.

მკითხველთა ფართო მასებთან კავშირის მუდმივად განმტკიცება, ქვემოდან, რიგითი საბჭოთა ადამიანებისაგან წამოსული კრიტიკისათვის მხარის დაჭერა საბჭოთა პრესის პირველხარისხოვანი ამოცანაა. კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებაა, დაბრკოლებათა დაძლევის ბოლშევიკური მეთოდია. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ჩვენი პრესა — გაზეთები და ჟურნალები. ქვემოდან მომდინარე კრიტიკისათვის მხარისდაჭერა, მკითხველთა შენიშვნებისა და სიგნალებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, ყოველივე ახლის, მოწინავისათვის ბრძოლა, ბოლშევიკური პრესის მთავარი დევიზია. ჩვენი რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთები მუდამ უნდა იდგნენ ამ პასუხსაგები ამოცანების სიმაღლეზე.

საბჭოთა პრესა მთელი მსოფლიოს პროგრესული პრესის ავანგარდში დგას. საბჭოთა პრესის მუშაობა ნიმუშია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პრესისა და კაპიტალის მონობაში მყოფი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პრესისათვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. წინააღმდეგ ამერიკა-ინგლისის რეაქციული ბურჟუაზიული პრესისა, რომელიც ახალი ომის გამჩაღებელთა მიზნებს გამოხატავს და საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის მოწოდებებით სწამლავს თავის მკითხველებს, საბჭოთა პრესა ეწევა ხალხთა შორის მეგობრობის, თანასწორობისა და მტკიცე მშვიდობის პროპაგანდას, რაზმავს მშრომელებს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისათვის.

დიდია ბოლშევიკური პრესის წვლილი ჩვენი ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენი პრესის ესოდენ დიდი როლი განისაზღვრება იმით, რომ მას ხელმძღვანელობს და წარმართავს ბრძოლებში გამოწრთობილი, საბჭოთა ხალხის წარმმართველი ძალა — ლენინ-სტალინის პარტია, იმით, რომ მასზე მამობრივად ზრუნავს ჩვენი ბელადი და მასწავლებელი, ბოლშევიკური პრესის ფუძემდებელი — დიდი სტალინი.

დიდება ყველა ჩვენი გამარჯვების შთამაგონებელსა და ორგანიზატორს მშობლიურ სტალინს!



ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

## პირველი საპირველმაისო მორწყვა

**დონის როსტოვი,** 29 აპრილი. (საკდესი). წლევანდელი პირველი მაისობა განსაკუთრებით სასიხარულოა დონის კოლმეურნეებისათვის. ვოლგა-დონის არხისა და „როსტოვ-დონწყალმშენის“ მშენებლებმა მოკლე ხანში შექმნეს პირველი ასი ათასი ჰექტარი მიწის სარწყავი სისტემა. გვალვიან ველში ახალი არხებით წავიდა წყალი. წყალმა უკვე აავსო დონის მაგისტრალური არხის პირველი რიგის კალაპოტი. წყლის ნაკადი დაიძრა ნიჟნი დონისა და აზოვის განმანაწილებელი არხებით. ამწვანდა თვალუწვდენი სივრცეები. გამოცოცხლდა ბაღები და ვენახები, ტანს იყრის ახალგაზრდა ტყეები.

ველიანი იმიერდონის კოლმეურნეები სამშობლოსაგან წყალს იღებენ, როგორც ყველაზე ძვირფას საპირველმაისო საჩუქარს.

არხის წყალი უკვე მიუახლოვდა მარტინოვკის რაიონის კოლმეურნეობებს. ამ რაიონის მინდვრების მუშაკებმა გადაწყვიტეს ღირსეულად აღნიშნონ დღესასწაული და გუშინ დაამთავრეს საადრეო თავთავიანი კულტურების თესვა.

კარგი შრომითი წარმატებებით ეგებებიან პირველ მაისს ბატაისკის, აქსაისკაიას, ბაგაევსკაიას და სხვა რაიონების სარწყავი მიწათმოქმედების კოლმეურნეები. ვესიოლის რაიონის კოლმეურნეობებმა მთელ ხორბლის ნათეს ფართობზე დაამთავრეს დროებითი სარწყავების დამიჯვნა. დღეს ვესიოლელები შეუდგნენ საშემოდგომო ხორბლის პირველ მასობრივ რწყვას.

ამავე დროს სარწყავ მინდვრებში მიმდინარეობს საგვიანო კულტურების მასობრივი თესვა. შვერნიკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა უკვე დათესეს ას ჰექტარამდე ბამბა და რაიონში პირველმა დაამთავრეს პერიოდულად სარწყავი ბრინჯის თესვა.

იმიერდონის ველებში დაიწყო ნათესის პირველი მასობრივი რწყვა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებათა პასუხად ოლქის სარწყავი რაიონების კოლმეურნეები ცდილობენ კარგი ხარისხით მოაწყონ რწყვა, რათა უზრუნველყონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი.

## მზად არის ციმლიანსკაიას ჰესის პირველი ჰიდროაგრეგატი

**მუშათა დაბა ციმლიანსკი,** 30 აპრილი. (საკდესი). სასიხარულოა ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებელთა საპირველმაისო სტახანოვური ვახტის შედეგები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მშენებლობის უფროსმა ვ. ა. ბარაბანოვმა განაცხადა:

— დღეს, 1 მაისის წინადღეს, დამთავრდა ციმლიანსკაიას ჰესის პირველი ჰიდროაგრეგატის მონტაჟი. დაიწყო აგრეგატის ცალკეული კვანძების გამოცდა ამუშავების წინ.

ჰიდროელექტროსადგურის მოწყობილობის აწყობაზე ფართოდ გავრცელებულია ჩქაროსნული მეთოდი, რომელიც შეიმუშავეს „სპეცჰიდროენერგომონტაჟის“ უბნის მემონტაჟეებმა ამხ. ნიკიფოროვმა, პეტროვმა, მოისეევმა და სხვებმა. მათი ინიციატივით განხორციელდა მთავარი მოწყობილობის აწყობა სამანქანო დარბაზს გარეთ. სპეციალურ მოედანზე დამონტაჟდა, ხოლო შემდეგ უკვე მზად მიტანილ იქნა სამანქანო დარბაზში და სამუშაო ადგილას დაიდგა ორი 150-ტონიანი საექსპლოატაციო ხიდური ამწე, ტურბინის მუშა ბორბალი, გენერატორის როტორი და სხვა კვანძები. სტახანოვურმა მეთოდმა დააჩქარა მუშაობა. 150-ტონიანი მუშა ბორბლის აწყობის ხანგრძლივობა თითქმის ოცი დღით შემცირდა.

ახლა ჩქაროსნული ტემპით წარმოებს სადგურის მეორე და მესამე ჰიდროაგრეგატის მონტაჟი.

ციმლიანსკაიას ჰესის პირველი ჰიდროაგრეგატი მზად არის. ეს ჩვენი სადღესასწაულო საჩუქარია სამშობლოსადმი.

## საწარმოო საჩუქრები სამშობლოს

**მირზაანი.** (საკ. კორ.). საქნავთის მირზაანის სარეწების იმ ჭაბურღილის მბურღავებმა, სადაც ბურღვის ოსტატი ს. კოჩიევია, საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება 160 პროცენტით შეასრულეს. კოჩიევის ბრიგადის წევრებმა ბურღვის ხანგრძლივობა 379 დღიდან 169 დღემდე შეამცირეს, ხოლო ბურღვის სიჩქარე თვეში 150 მეტრის ნაცვლად 239 მეტრამდე გაზარდეს. განსაკუთრებით დაწინაურდნენ მბურღავები გ. რუდენკო, ს. ლეკაშვილი, ვ. იანვარაშვილი და ვლ. საბენკო.

დაწინაურდნენ აგრეთვე იმ ჭაბურღილის მბურღავები, სადაც ბურღვის ოსტატად გ. ახმედოვი მუშაობს.

* * *

**ბათუმი.** (საკ. კორ.). კოფეინის ქარხანა ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა ბათუმში. ქარხნის კოლექტივმა საპირველმაისო შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა, ოთხი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 129 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. აღსანიშნავია, რომ კოფეინის დამამზადებლებმა მთლიანად აღმოფხვრეს წუნი, მათ მიერ გამოშვებული მთელი პროდუქცია საუკეთესო ხარისხისაა.

* * *

**ხაშური.** (საკ. კორ.). საორთქლმავლო დეპოს ლუნინელი მემანქანე ა. სინეგუბოვი სანიმუშოდ უვლის თავის ორთქლმავალს, ყოველთვის აჭარბებს ტექნიკური სიჩქარის ნორმებს და აღწევს საწვავის დიდ ეკონომიას. პირველ კვარტალში მან 22,4 ტონა საწვავი დაზოგა და აპრილშიც მაღალი მაჩვენებელი მოიპოვა.

საწვავის ეკონომიისათვის ბრძოლაში კარგი მაჩვენებლები აქვთ მემანქანეებს ა. ხვედელიძეს, გ. ცერცვაძეს, ა. ტუროვს და ს. ბათიევს. ხაშურელმა მემანქანეებმა პირველ კვარტალში სულ 110 ტონა საწვავი დაზოგეს.

## საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მოწინავე საწარმოები

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ განიხილეს სამინისტროს საწარმოთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1952 წლის პირველი კვარტალის შედეგები. გამარჯვებულთა შორის არის საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი (ტრესტის მმართველი ა. ლაბახუა, მთავარი ინჟინერი ფ. ნაჭყებია). პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტს ზედიზედ მეხუთედ შერჩა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მას მიენიჭა პირველი პრემია 60 ათასი მანეთის რაოდენობით.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია 90 ათასი მანეთის რაოდენობით მიენიჭა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ბერიას სახელობის შახტს (შახტის უფროსი ვ. რევიშვილი, მთავარი ინჟინერი რ. ბოცვაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ლაგვილავა, საშახტო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ცაავა).

მესამე პრემია 20 ათასი მანეთის რაოდენობით მიენიჭა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 4 ახიბლარის შახტს (შახტის უფროსი ა. ჭირაქაძე, მთავარი ინჟინერი ა. წამალაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ო. ჭოლარია, საშახტო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ლაპტევი).

* * *

საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილეს საქართველოს ქვანახშირის კომბინატის შახტების უბნების სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის მარტის შედეგები. მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის კომბინატისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია 10 ათასი მანეთის რაოდენობით მიენიჭა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ბერიას სახელობის შახტის № 2 უბანს (უბნის უფროსი რ. ჯოხაძე, პარტორგი ა. მიშჩენკო, საუბნო კომიტეტის თავმჯდომარე ს. სალკო). მესამე პრემია 5.000 მანეთის რაოდენობით მიენიჭა ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის გელათის შახტის № 2 უბანს (უბნის უფროსი კ. გვენეტაძე). (საქდესი).

## ტყიბულელ მეშახტეთა შრომითი წარმატებანი

**ტყიბული.** (საკ. კორ). ტყიბულელი მეშახტეები შესანიშნავი მიღწევებით შეხვდნენ მშრომელთა საერთაშორისო დღეს — 1 მაისს. ტრესტის შახტებმა უზრუნველყვეს ქვანახშირის ამოღების აპრილის საწარმოო გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულება.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს გელათის, ლენინისა და მოლოტოვის სახელობის შახტებმა. პირველმა თვიური გეგმა 124,9 პროცენტით გაანაღდა, მეორემ — 110,1, ხოლო მესამემ — 107,7 პროცენტით. გელათის შახტის უბნებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა უბანმა, რომელსაც პ. ჩიხლაძე ხელმძღვანელობს. ამ უბანმა აპრილის საწარმოო დავალება 28,2 პროცენტის გადამეტებით შეასრულა. ლენინის შახტში პირველ ადგილზეა პირველი უბნის კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის განვლილი ოთხი თვის გეგმა 25,8 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდა.

საპირველმაისო შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს სტალინის სახელობის შახტის სტახანოველებმა შალვა ფურცხვანიძემ, ივანე ორჯონიკიძემ, სერგო სოფრომაძემ, შალვა ბანძელაძემ და სხვებმა.

# ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე

★

ვ. პოდკურკოვი

★

ორმოცი წლის წინათ, 1912 წლის 5 მაისს, გამოვიდა მასობრივი ბოლშევიკური გაზეთის „პრავდის" პირველი ნომერი. იგი დაარსდა ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად, ი. ბ. სტალინის ინიციატივით. მალე „პრავდის" გამოსვლის შემდეგ ვ. ი. ლენინი წერდა: „ყოველდღიური მუშათა გაზეთის შექმნით პეტერბურგის მუშებმა დიდი, — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ისტორიული საქმე გააკეთეს" (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 18, გვ. 217). „პრავდის" პირველი ნომრის გამოსვლის დღე — ხუთი მაისი — გახდა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ტრადიციული დღესასწაულის დღე.

„პრავდა" წარმოიშვა რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში და ჩვენი პარტიის ძლიერი იარაღი გახდა. მან უდიდესი როლი შეასრულა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების, მასებში ბოლშევიკების მიერ გავლენის მოპოვების საქმეში. „პრავდა" იდგა პარტიულობისათვის, მასობრივი მუშათა რევოლუციური პარტიის ხელახლად შექმნისათვის ბრძოლის ცენტრში და მუშათა მოძრაობას წარმართავდა ერთი გარკვეული მიზნისაკენ—რევოლუციის მომზადებისაკენ.

„1912 წლის „პრავდა", — წერდა ამხანაგი სტალინი, — ეს საძირკვლის ჩაყრაა 1917 წელს ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის" (ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 5, გვ. 140).

„პრავდასთან" ერთად იზრდებოდა რევოლუციური პროლეტარიატის მთელი თაობა, რომელმაც შემდეგ მოახდინა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. „პრავდა" გახდა ახალი ტიპის გაზეთი, მსოფლიოში პირველი მუშური გაზეთი, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია მუშათა კლასის ფართო მასებთან, გახდა მასების გაზეთი, რომელიც გამოხატავს მათ ინტერესებს.

„ჩვენი სურვილია, — წერდა „პრავდა" პირველ ნომერში, — რომ მუშები არ დაკმაყოფილდნენ მარტო თანაგრძნობით, არამედ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი გაზეთის მუშაობაში".

„პრავდა" როგორც ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული მედროშე თავისი სახელოვანი ისტორიის 40 წლის მანძილზე დაუღალავად რაზმავდა ბოლშევიკებისა და მუშათა კლასის ძალებს, იბრძოდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. მთელი ჩვენი პრესა „პრავდისაგან" სწავლობს მაღალ იდეურობას, ბოლშევიკურ პრინციპულობას, შეურიგებლობას ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის კომუნიზმისაკენ მოძრაობას.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მთელი ისტორია და მოღვაწეობა მისი წარმოშობის პირველი დღეებიდანვე ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიისა და მოღვაწეობის განუყრელი ნაწილია. ჩვენმა ბეჭდვითმა სიტყვამ „პრავდის" მეთაურობით უდიდესი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და მოწყობაში, სამოქალაქო ომის წლებში, ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების განადგურებაში, სახალხო მეურნეობის აღდგენაში. ბეჭდვითი სიტყვა საბჭოთა ხალხს რაზმავდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიადი სტალინური გეგმის განხორციელებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე მის ძლევამოსილად დამთავრებამდე იგი პარტიას ეხმარებოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის ჩვენი ქვეყნის მთელი ძალების დარაზმვაში. ამჟამად ბოლშევიკური პრესა აქტიურად იბრძვის ეკონომიკის და კულტურის განუხრელი აღმავლობისათვის, ვოლგაზე, დნეპრზე, დონზე, ამუ-დარიაზე დიად მშენებლობათა განხორციელებისათვის, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

პარტია დიდად ზრუნავს ბეჭდვითი სიტყვის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენი ქვეყნის ბეჭდვითი სიტყვა წლითიწლობით იზრდება.

სსრ კავშირში წიგნების ყოველწლიური ტირაჟი თითქმის ერთიათად აღემატება იმ წიგნების ტირაჟს, რომლებიც რევოლუციამდელ რუსეთში გამოდიოდა. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე გამოიცა 14 მილიარდზე მეტი ცალი წიგნი და ბროშურა. ფართოდ გავრცელდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები. მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებნი გამოცემულია 839 მილიონზე მეტი ცალი. სსრ კავშირში წიგნები გამოდის 119 ენაზე, მათ შორის იმ ხალხთა 40 ენაზე, რომლებმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პირველად შექმნეს თავიანთი დამწერლობა.

ბეჭდვითს სიტყვას მასებში შეაქვს ბოლშევიკური სიმართლის ცოცხალი სიტყვა, დაუცხრომლად უწევს პროპაგანდას ლენინ-სტალინის პარტიის დიად იდეებს, მის პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს. იგი განაზოგადებს სამეურნეო მშენებლობის უმდიდრეს გამოცდილებას, ეხმაურება და ფართოდ ავრცელებს ყოველივე ახალს, მოწინავეს, აღკვეთს უვარგისს, კონსერვატიულს, ყველაფერს, რაც ხელს უშლის სწრაფ წინსვლას.

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა, ხელმძღვანელობს რა ლენინისა და სტალინის მითითებებით, უდიდეს მუშაობას ეწეოდა და ეწევა ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მასების უძვირფასესი კონკრეტული გამოცდილების პროპაგანდისათვის, გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანების შეგნების ზრდას, მათი პატრიოტული შრომის შედეგებს, აღაფრთოვანებს მათ სულ ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და დიდების შემდგომი განმტკიცების მიზნით.

ამჟამად, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში, როდესაც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებს უპირველესი მნიშვნელობა ეძლევა, ბეჭდვითი სიტყვის როლი განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგებია. იგი მოწოდებულია იბრძოლოს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისათვის, აღზარდოს მშრომელნი მგზნებარე პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ხელი შეუწყოს საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხების წარმატებით გადაჭრის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების სისტემატური პროპაგანდა. რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო გაზეთები თავიანთ ფურცლებზე აქვეყნებენ პროპაგანდისტულ სტატიებს, კონსულტაციებს, საუკეთესო ლექციებს, პასუხებს მკითხველთა კითხვებზე.

სსრ კავშირს — მოწინავე კულტურის ქვეყანას — მოეპოვება მრავალი სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, სასწავლებელი, სკოლა, გამომცემლობა, რადიოკომიტეტი, თეატრი, შემოქმედებითი ორგანიზაცია. ბეჭდვითი სიტყვის, და უწინარეს ყოვლისა გაზეთების რედაქციების, საპატიო ამოცანაა ფართოდ გვიჩვენონ ამ დაწესებულებათა მუშაობა, იბრძოლონ სოციალისტური იდეოლოგიის განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხის კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღია სოციალისტური შეჯიბრება. იგი, ამხანაგ სტალინის სიტყვით, სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდია.

ბეჭდვითი სიტყვა აქტიურად ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს ყოველი ღონისძიებით განავითარონ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილი მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, ჩაებან შეჯიბრებულთა რიგებში ქალაქისა და სოფლის მილიონობით ახალი მშრომელი.

ბეჭდვითი სიტყვა ყოველი ღონისძიებით უნდა ეხმარებოდეს მშრომელებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, უმკაცრესი მომჭირნეობის რეჟიმისათვის, შინარეზერვების სწორად გამოყენებისათვის ბრძოლაში.

გაზეთის მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებს მთავარი ამოცანის შესრულებაში — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებაში, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გამრავლებაში და ამავე დროს საზოგადოებრივი პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებაში. ბეჭდვითი სიტყვა მთავარ ყურადღებას უნდა აქცევდეს კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უმტკიცესად დაცვის საკითხებს. გაზეთები მოვალენი არიან ულმობელი ბრძოლა აწარმოონ საკოლმეურნეო წესდების დარღვევის წინააღმდეგ, საკოლმეურნეო დოვლათის დამტაცებლების წინააღმდეგ.

ათეულ და ასეულ ათასობით ნოვატორის საწარმოო გამოცდილება ჩვენი ქვეყნის ფასდაუდებელი სიმდიდრეა. ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იყოს ამ გამოცდილების ნამდვილი ტრიბუნა, შეკრიბოს, განაზოგადოს და გაავრცელოს საუკეთესო საწარმოებისა და კოლმეურნეობების, მუშებისა და კოლმეურნეების მიღწევები.

ბეჭდვითი სიტყვა მოვალეა თავის დროზე შეამჩნიოს და მხარი დაუჭიროს სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში წარმოშობილ ახალ მოვლენებსა და პროცესებს. სამწუხაროდ, ზოგიერთი გაზეთი ყოველთვის ჯეროვნად ვერ აფასებს ამა თუ იმ წამოწყებას და შეჯიბრებაში ვერ არჩევს ნამდვილად ახალ რამეს საპარადო ხმაურისაგან, ბიუროკრატიული დამახინჯებისაგან.

ამხანაგ სტალინს არაერთხელ მიუთითებია ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებისათვის, რომ მათ მართლად უნდა ილაპარაკონ „...დიადი შრომითი აღმავლობის იმ ღრმა პროცესების შესახებ, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების შინაგან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ" (ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 12, გვ. 124).

სოციალისტური შეჯიბრების სწორი გაშუქება გულისხმობს აგრეთვე ნაკლოვანებებისა და შეცდომების ბოლშევიკური კრიტიკის ფართოდ განვითარებას, იმიტომ, რომ თვით სოციალისტური შეჯიბრება მასების იმ საქმიანი რევოლუციური თვითკრიტიკის გამოხატულებაა, რომელიც მიმართულია ჩამორჩენილობისა და დახავსებულობის წინააღმდეგ.

ჩვენი გაზეთები პარტიის ბასრი იარაღია ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლაში. პრესის ამოცანაა აქტიურად დაუჭიროს მხარი ქვემოდან მომავალ კრიტიკას, მტკიცედ გამოამჟღავნოს ნაკლოვანებანი საწარმოთა, კოლმეურნეობათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობაში, ამხილოს ბიუროკრატები, მეხალტურეები, დაუდევარი მუშაკები, კრიტიკის ჩამხშობნი, ყველანი, ვინც ზიანს აყენებს სახელმწიფოს. კრიტიკა უნდა წარმოებდეს საერთო-პარტიული, სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან. კრიტიკა რომ ქმედითი იყოს, საჭიროა ღრმად ჩავწვდეთ საქმის არსს, გამოვარკვიოთ ნაკლოვანებათა მიზეზები და დავსახოთ ეფექტიანი ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის.

არ შეიძლება ფარულად ვაწარმოოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, საჭიროა მათი საჯაროობა. ზოგიერთი ხელმძღვანელი ორგანო გაზეთების რედაქციებისაგან მოითხოვს წარუდგინონ შესათანხმებლად კრიტიკული მასალები მათ გამოქვეყნებამდე. ზოგ რედაქციას კრიტიკულ სიგნალებში კორექტივები შეაქვს. პარტია სასტიკად გმობს იმათ, ვისაც ეშინია ამხილოს საკუთარი ნაკლოვანებანი, ვინც თავს არიდებს ნაკლოვანებათა გაკრიტიკებას. კრიტიკული შენიშვნები, წერილები, სიგნალები წარმოადგენენ იმის გამოხატულებას, რომ საზოგადოებრიობა დაინტერესებულია მუშაობის გაუმჯობესებით, წარმოადგენენ მასების პოლიტიკური აქტივობის, ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებისათვის მათი ზრუნვის გამოხატულებას.

გაზეთების რედაქციები კრიტიკულად უნდა მიუდგნენ აგრეთვე საკუთარ მუშაობას. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „თვითკმაყოფილ ოპტიმიზმზე უფრო უხამსი არაფერია" (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 8, გვ. 533).

ჩვენი გაზეთების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, მათი მუშაობის განუხრელი გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა მჭიდრო კავშირი მკითხველთა მასებთან, გაზეთების გარშემო ავტორთა ფართო აქტივის შექმნა მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა წრიდან. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ბეჭდვითი ორგანო „...მაშინ იქნება ცოცხალი და ცხოველმყოფელი, როცა ხუთ ხელმძღვანელ და მუდმივ თანამშრომელ ლიტერატორზე მოდის ხუთასი და ხუთი ათასი მუშაკი არალიტერატორი". (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 7, გვ. 657).

გაზეთი, რომელიც ივსება ადამიანთა მცირე წრის სტატიებითა და შენიშვნებით, შტატის თანამშრომელთა მასალებით, უგულებელყოფს მუშათა და კოლმეურნეთა წერილებს, კარგავს მასობრივი გაზეთის სახეს. მას არ შეუძლია წარმატებით შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებანი.

ბოლშევიკური პრესა წარმოსდგება მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე, როგორც მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი. მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი და დემოკრატიული საბჭოთა პრესა ხალხის ინტერესებს ემსახურება.

ცრუ და გამყიდველი ბურჟუაზიული პრესა, და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების პრესა, ემსახურება მშრომელთა დამონების მიზნებს, გააფთრებულ კამპანიას ეწევა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის. კაპიტალისტების ხელში ბეჭდვითი სიტყვა მოგების საშუალებაა, მასების მოტყუების იარაღია.

საბჭოთა პრესა სათავეში უდგას მთელი მსოფლიოს პროგრესულ პრესას მშვიდობისათვის ბრძოლაში. იგი ამხილებს ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა აგრესიულ გეგმებს, ფართოდ ეწევა სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარეული პოლიტიკის პროპაგანდას, რაზმავს საბჭოთა ადამიანებს თავდადებული შრომისათვის ჩვენი სამშობლოს—მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯის ძლიერების განსამტკიცებლად.

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ძალაა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ „ბეჭდვითი სიტყვა ყველაზე ძლიერი იარაღია, რომლის შემწეობითაც პარტია ყოველ დღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს თავისი, მისთვის საჭირო ენით" (ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 5, გვ. 224), ბეჭდვითი სიტყვის განვითარება და გაუმჯობესება პარტიული ორგანიზაციების, გაზეთების, ჟურნალებისა და გამომცემლობების მუშაკთა ვალია.

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა აქტიურ დახმარებას უწევს საბჭოთა ხალხს კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

# პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

საუცხოოა მოსკოვი მაისის ამ პირველ დილას. ზურმუხტის ფერი ნაზი ფოთლებით შემოსილან ხეები. სახლები და ქუჩები სადღესასწაულოდ მორთულან. შენობების ფასადებზე გამოკრულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების პორტრეტები. მოჩანს ალისფერი დროშები.

ქუჩებსა და მოედნებზე ყოველ წუთს მეტი და მეტი გაცხოველება.

... წითელ მოედანზე საზეიმო სიწყნარეა. მავზოლეუმის პირდაპირ შენობაზე არის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტები. თექვსმეტი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო გერბები განასახიერებენ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

წითელი მოედნის ტრიბუნები სწრაფად ივსება ხალხით. აქ შეკრებილან ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, სტალინური პრემიის ლაურეატები, მრეწველობის, მშენებლობათა და ტრანსპორტის სტახანოველები, სოციალისტური მიწათმოქმედების ოსტატები, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, საბჭოთა არმიის გენერლები, ადმირალები და ოფიცრები. აქვე არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები, გმირი კორეელი ხალხის წარმომადგენლები, სტუმრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პროფკავშირული დელეგაციები და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული კულტურის მოღვაწეები. წითელი მოედნის ტრიბუნებზე არიან აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები და უცხოეთის სამხედრო ატაშეები.

კრემლის მაცხოვრის კოშკის საათის ისრები 10 საათს უახლოვდება.

ქუხს [illegible] ამხანაგი [illegible] ლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, მ. ფ. შკირიატოვი.

კრემლის კურანტები 10-ჯერ რეკავენ.

საპირველმაისო პარადის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. ა. არტემიევი მავზოლეუმის წინ პატაკს აძლევს პარადის მიმღებს საბჭოთა კავშირის მარშალს ლ. ა. გოვოროვს.

რამდენიმე წუთს გრძელდება ჯარების ჩამოვლა. საბჭოთა კავშირის მარშალი ლ. ა. გოვოროვი წითელ მოედანზე ბრუნდება, მავზოლეუმზე ადის და სიტყვით მიმართავს წითელ მოედანზე დაწყობილ ჯარებს, ჩვენი სამშობლოს მთელ შეიარაღებულ ძალებს, მთელ საბჭოთა ხალხს.

## საბჭოთა კავშირის მარშალ ლ. ა. გოვოროვის სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო ძვირფასო სტუმრებო — უცხო ქვეყნების მშრომელთა წარმომადგენლებო!

საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს—1 მაისის დღეს.

დიდი საბჭოთა კავშირის ხალხები ამ დღესასწაულს ეგებებიან ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებით.

საბჭოთა ადამიანების შარშანდელ თავდადებულ შრომას ახალი დიდი გამარჯვებანი მოჰყვა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

სოციალისტური ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე განუხრელად უმჯობესდება ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება მისი კულტურა. საბჭოთა მთავრობა, კომუნისტური პარტია და პირადად დიდი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ საბჭოთა საზოგადოების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ ზრუნვის ახალი მკაფიო გამოხატულებაა მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სათვალავით მეხუთე შემცირება, რაც ამას წინათ განხორციელდა.

საბჭოთა ადამიანები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა კვლავაც წარმატება მოიპოვოს ჩვენმა საყვარელმა სოციალისტურმა სამშობლომ, რათა სულ უფრო გაიზარდოს და განმტკიცდეს მისი ძლიერება.

საბჭოთა კავშირის დიდი მაგალითი აღაფრთოვანებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის წარმატებით საბრძოლველად.

სამეურნეო და კულტურული განვითარების პოლიტიკა, რასაც საბჭოთა მთავრობა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მთავრობები ახორციელებენ, გამოხატავს ხალხის მასების ძირითად ინტერესებს და უზრუნველყოფს მათი ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას.

ამის სრული საწინააღმდეგოა კაპიტალის ქვეყნების მდგომარეობა.

პოლიტიკა, რომელსაც იმპერიალისტები ახორციელებენ, ბურჟუაზიული ქვეყნების მშრომელ მასებს განწირავს გაჭირვებისა და უბედურებისათვის. უმუშევრობა, სიღატაკე და შიმშილი მილიონობით უბრალო ადამიანის ხვედრია კაპიტალისტურ სამყაროში.

ხალხთა ნების საწინააღმდეგოდ ამერიკელ-ინგლისელი აგრესორები და მათი თანამონაწილენი განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, აღორძინებენ გერმანიის იმპერიალიზმს დასავლეთში და იაპონიის იმპერიალიზმს აღმოსავლეთში. თითქმის ორი წელიწადია ისინი ავაზაკურ ომს ეწევიან მამაცი კორეელი ხალხის წინააღმდეგ. ამერიკელმა ბარბაროსებმა ფეხქვეშ გათელეს საერთაშორისო შეთანხმებანი, უდიდეს დანაშაულს მიმართეს კაცობრიობის წინააღმდეგ და კორეასა და ჩინეთში იხმარეს ბაქტერიოლოგიური იარაღი.

ინგლის-ამერიკის აგრესიული ბლოკის იმპერიალისტურ პოლიტიკას მხარს არ უჭერენ და ვერც დაუჭერენ ხალხები, რადგან ხალხებს ომი არა სურთ. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დღითიდღე იზრდება და ფართოვდება მშვიდობის მომხრეთა ძლიერი მოძრაობა.

ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში წამყვანი ძალაა საბჭოთა კავშირი, რომელიც თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის პოლიტიკას. ჩვენ პირნათლად ვასრულებთ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და განუხრელად ვიცავთ თანასწორობისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს. საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა შეეფერება მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს.

მშვიდობისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესების საგუშაგოზე დგანან საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უსაზღვროდ ერთგული ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალები. ისინი მზად არიან გამანადგურებელი დარტყმით უპასუხონ იმპერიალისტ აგრესორთა ყოველ ცდას—დაარღვიონ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ **სტალინს!**

ვაშა!

★ ★ ★

საზეიმოდ გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. კრემლის კედელს გადაღმა გრიალებენ სადღესასწაულო სალუტის საარტილერიო ზალპები.

საპირველმაისო პარადს იწყებენ დამსახურებული მეთაურები და პოლიტმუშაკები — სამხედრო აკადემიების მსმენელნი.

გულის გასახარელად, მწყობრად და მტკიცედ ჩაიარეს სახმელეთო და საჰაერო ძალების ოფიცრებმა. მათის შემდეგ მოედანზე შემოვიდნენ სამხედრო მეზღვაურები. ჰაერში გაისმა მოტორების გუგუნი. ცაში გამოჩნდა საჰაერო პარადის სარდლის გვარდიის ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ვ. ი. სტალინის მრავალმოტორიანი საფლაგმანო ხომალდი, რომელსაც თან ახლდნენ ავიაგამანადგურებლები. გადაიფრინეს სტალინურმა შევარდნებმა და მიესალმნენ თავიანთ იარაღის მოძმეებს ხმელეთზე. და ამ მომენტიდან ტრიბუნებზე შეკრებილნი რამდენიმე წუთს ტკბებოდნენ ერთბაშად ორი პარადით — სახმელეთო და საჰაერო პარადით.

მჭიდრო, მონოლითური მწყობრით მოდიან მომავალი ოფიცრები — ახოვანი, ბრგე, სპორტით გამოწრთობილი ჭაბუკები. ისინი ამაყობენ იმით, რომ სამხედრო წვრთნას იღებენ უძველეს საბჭოთა საოფიცრო სკოლაში — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის წითელდროშოვანი ქვეითი ჯარის სასწავლებელში.

მოდიან ყველაზე ნორჩი მეომრები — სუვოროველები და ნახიმოველები. ისინი უყვარს არმიას და ხალხს. არ შეიძლება საამო ღიმილით არ ადევნებდე თვალს სამხედრო ფორმით გამოწყობილი ამ ბავშვების განგებ გამკაცრებულ სახეებს. მაგრამ ეს მათ უხდებათ. ისინი ამაყობენ თავიანთი სამხედრო უნარით.

შემდეგ ოქროსფერ ცხენებზე, ესკადრონობით, უზანგი უზანგთან, გაიქროლეს საბჭოთა კავალერისტებმა, რომლებიც სალუტს ხმლებით იძლეოდნენ...

ქვეითს ჯარს, როგორც ძირითადი სახეობის ჯარს, პარადებში წითელ მოედანზე უკვე მრავალი წელიწადია წარმოადგენს საბჭოთა არმიის სახელგანთქმული შენაერთი — ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიის სუვოროვის ორდენოსანი წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია. სმოლენსკის მიწა-წყალზე, ელნიასთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ამ შენაერთების მებრძოლებმა და მეთაურებმა პირველი დამარცხება აგემეს ჰიტლერელ ვერმახტს, დაიწყეს ჰიტლერული არმიის უძლეველობის მითის გაქარწყლება.

უნაკლო მწყობრით მოდიან მანქანები წითელ მოედანზე. უძრავად სხედან გვარდიელი ტამანელები. მათი თვალი და გული მიპყრობილია მავზოლეუმისაკენ, იქ დგას გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი. და თვითეულ მათგანს ჰგონია, რომ საყვარელი ბელადის გულითადი, მამობრივი ღიმილი სწორედ მისკენ არის მიპყრობილი.

...წუთიერი სიწყნარე, და წითელ მოედანზე კვლავ გაისმის მოტორების მწყობრი გუგუნი. ავტომანქანებს მოაქვთ საზენიტო ზარბაზნები, ქვემეხები, ჰაუბიცები... სატვირთო მანქანებს ცვლიან ყველგანმავალი მანქანები, ტრაქტორებს — თვითმავალი დანადგარები. ამ სხვადასხვანაირ ტექნიკას თავიანთი საქმის ოსტატები მართავენ. საარტილერიო კოლონა სანიმუშო მწყობრით მოდის, მტკიცედ იცავს სწორებასა და ინტერვალს.

საბჭოთა არტილერიას სამართლიანად ეწოდება სტალინური არტილერია. მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერების გენიალური შემქმნელი დიდი ბელადი და მხედართმთავარი ამხანაგ ი. ბ. სტალინი, ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა იჩენდნენ და იჩენენ მუდმივ ზრუნვას საბჭოთა არტილერიის განვითარებისათვის, მისი კადრების აღზრდისათვის.

სამხედრო მარშების მხნე რიტმი ხელს უწყობს ჯარებს მწყობრ სვლაში. გიგანტური ორკესტრი, რომელშიც ათასი მუსიკოსია, ადვილად ახშობდა ხოლმე თავისი მელოდიით უზარმაზარი მოედნის ხმაურს. მაგრამ ახლა ეს უკვე აღარ შეუძლია. მძიმე საარტილერიო სისტემების შემდეგ წითელ მოედანზე შემოვიდნენ ტანკები. მათი მძლავრი მოტორების გუგუნმა, ქვაფენილზე ფოლადის მუხლუხების ჩხარუნმა და ჭრიალმა ჩაახშო ყოველივე. ფოლადის ნიაღვარი შეუფერხებლად მიექანება მავზოლეუმის წინ. და ტრიბუნებზე მდგომი ადამიანები მოხიბლული არიან დიდებული სანახაობით.

როგორც ყოველთვის, მაღალი წვრთნა და მარშის შესანიშნავი დისციპლინა გამოამჟღავნეს გვარდიის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი კანტემიროვკის სატანკო დივიზიის მძღოლებმა, მებრძოლებმა და ოფიცრებმა.

მოსკოვთან ბრძოლებში დაიბადა საბჭოთა არმიის სატანკო გვარდია. მისი საგმირო საქმეები გახდა გულადობისა და მამაცობის მაგალითი, ისინი აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა ტანკისტებს უსაზღვრო გმირობისათვის სამშობლოს სასახელოდ. საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების მეომრების დამსახურებამ მაღალი შეფასება მიიღო. ომის წლებში ასეულათასობით ტანკისტი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, 1.142 ტანკისტს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო 16 მათგანი ამ მაღალი წოდების ღირსი ორჯერ გახდა.

კანტემიროვკელებმა პირველხარისხოვანი საბრძოლო მანქანები გაატარეს წითელ მოედანზე. მათმა ფოლადის მარშმა ერთხელ კიდევ მოაგონა საბჭოთა ადამიანებს, რომ ჩვენს ძლიერ სამშობლოს აქვს მოწინავე მეტალურგია, დიდად განვითარებული მანქანათმშენებლობა, ჰყავს გამოჩენილი კონსტრუქტორები — აქვს ყოველივე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საბჭოთა არმია აღჭურვოს სრულყოფილი ტექნიკით. მას ჰყავს მამაცი, კარგად მომზადებული, იდეურად გამოწრთობილი ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ სრულყოფილად ფლობდნენ ამ რთულ ტექნიკას.

..უკანასკნელი ტანკები მიიმალნენ მოსახვევში ვასილ ნეტარის ტაძართან. წითელ მოედანზე მოდის ათასსაყვირიანი ორკესტრი და გვამცნობს, რომ საპირველმაისო პარადი დამთავრებულია.

★ ★ ★

... 11 საათია. წითელ მოედანზე შემოდიან დემონსტრანტთა პირველი კოლონები. წინ მოაქვთ ლენინის ორდენით დაჯილდოებული დროშა მოსკოვისა — დიდი ქალაქისა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის ცენტრისა.

მოსკოველებს ხელში უჭირავთ, როგორც ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ძმობის სიმბოლო, 16 მოკავშირე რესპუბლიკის გერბებიანი წითელი ალმები. ეს ალმები გარს არტყია აბრეშუმის წითელ დროშას, რომელზეც გამოსახულია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პორტრეტი.

სტალინი! მას, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდ ბელადს, ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს, საბჭოთა ხალხის მსოფლიოისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მხურვალე სიყვარულითა და უდიდესი მადლიერებით აპყრობს თვალს მთელი დედამიწის ასეულ მილიონობით კეთილი ნების ადამიანი.

... მოდიან დედაქალაქის ნორჩი მოქალაქენი—პიონერთა ათასოვანი რაზმი. თითქოს აყვავებულ მაისს გაუშუქებია ყველაფერი გარშემო. ტრიბუნებზე მყოფი მრავალი სტუმარი გულითადად მიესალმება ბავშვებს, რომლებიც მოედანზე მოდიან და ხელში ყვავილები უჭირავთ. კოლონას გამოეყო 612-ე საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე ვერა კონდაკოვა. მან აირბინა მავზოლეუმის გრანიტის საფეხურები და ყვავილთა თაიგული მიართვა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. საერთო ალტაცებას ერთვის მისასალმებელი შეძახილები, შეწყობილი ტაში.

მოედანზე გამოდის სპორტსმენი ახალგაზრდობა, გაბედულთა და ძლიერთა თაობა. მწყობრ რიგებად მოდიან ჭაბუკები და ქალიშვილები. სასპორტო საზოგადოებათა აბრეშუმის ალმები, მაისურები — წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი აფერადებენ მოედანს.

ათას ორასი მედროშე მოუძღვის მოსკოვის 12 რაიონის დემონსტრანტთა კოლონებს, რომლებიც ერთდროულად შემოდიან მოედანზე.

დემონსტრანტებს მოაქვთ სოციალისტური რევოლუციის გენიოსების ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პორტრეტები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ათასობით ტრანსპარანტზეა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მგზნებარე მოწოდებანი.

მთელი წითელი მოედანი აავსო სიხარულით მოზეიმე ხალხმა. მოედნის სხვადასხვა კუთხეში განუწყვეტლივ ისმის გულის სიღრმიდან აღმომხდარი სიტყვები:

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

— ამხანაგ სტალინს ვაშა!

ფერადი პანოები და პლაკატები მოგვითხრობენ წარმატებებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა გასულ წელს მოიპოვეს. ახალი ნაბიჯი გადადგა წინ კომუნიზმისაკენ ჩვენმა ქვეყანამ. სადღესასწაულო კოლონების გაფორმებაში გამოსჭვივის 1952 წლის თავისებურებანი. იგი ღირსშესანიშნავია სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გაძლიერებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე სამუშაოთა



მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადი 1 მაისს. **სურათზე:** ქვეითი ჯარის შენაერთი წითელ მოედანზე. ფოტო ვ. სავოსტიანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

(დასასრული მესამე გვერდზე)



საპირველმაისო პარადი და თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე. ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ) კ. ბუჯიაშვილი, კ. ციმაკურიძე, ვ. ბუჯიაშვილი, რ. კვირკველია, ნ. რუხაძე, ვ. ცხოვრებაშვილი, ზ. კეცხოველი, ა. მგელაძე, ა. ანტონოვი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ბაქრაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა

# ᲞᲐᲠᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

გრანდიოზული მასშტაბით მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებით.

ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნებს შრომითი პატაკებით ჩაუარეს დედაქალაქის დაზგათმშენებელი საწარმოების — ქარხნების „კრასნი პროლეტარის", სერგო ორჯონიკიძის სახელობის, „სტანკოკონსტრუქციის" კოლექტივებმა. დიდია საბჭოთა დაზგათმშენებლობის მიღწევები. 150 ტიპის ახალი სრულყოფილი ლითონსაჭრელი დაზგა და სამჭედლო-საწნეხი მანქანა შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში მარტო ერთი წლის მანძილზე.

ქარხანა „სერპ ი მოლოტის" მეტალურგთა კოლექტივი პატაკს იძლევა ოთხი თვის გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ. უნაზესი სახიანი ქსოვილები ფრიალებენ რუსული ფეიქრობის ოსტატთა — „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" კომბინატის მუშების რიგების თავზე. ცხრაასი ფერის საუცხოო ქსოვილებს ამზადებენ ოსტატი ფეიქრები.

პანოებსა და სურათებზე აღბეჭდილია დიდი ოქტომბრით შობილი ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის უკვდავი ფურცლები. ისინი მოგვაგონებენ დევგმირული შრომისა და შემოქმედების წლებს, ჩვენს დიდ მონაპოვართ კომუნიზმის მშენებლობაში, მრისხანე ბრძოლებსა და გამარჯვებებს სამამულო ომის წლებში, სახელოვან გზას, რომელიც ჩვენმა ხალხმა „გოელროს" გეგმიდან კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობებამდე განვლო.

კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა. მოსკოვის ორასზე მეტი საწარმო ასრულებს მათს საპატიო დაკვეთებს. უკვე დგება მწყობრში პირველი დიდებული ნაგებობა — ვოლგა-დონის სანაოსნო არხი.

ადამიანთა მღელვარე ზღვას მოედანზე შემოაქვს ახალი პანოები, ტრანსპარანტები. სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის სტახანოველთა პორტრეტების გვერდით არის პატაკი, სადაც ნათქვამია, რომ პირველ კვარტალში ავტოქარხნელებმა დიდძალი პროდუქცია გამოუშვეს გეგმის გადამეტებით. კიროვის სახელობის ქარხანა „დინამოს" კოლონის მთელი გაფორმება მოგვითხრობს კომუნისტური შრომის დიდ ყოვლისმძლე ძალაზე. დღესასწაულს შესანიშნავი წარმატებით ეგებება კაგანოვიჩის სახელობის პირველი სახელმწიფო საკისრის ქარხნის მრავალათასოვანი კოლექტივი. საწარმოს ათასზე მეტი სტახანოველი უკვე 1953 წლის ანგარიშში მუშაობს.

სულ უფრო ფართოდ იშლება სადღესასწაულო დემონსტრაციის საუცხოო პანორამა. დიდ პანოზე გამოხატულია ხორბლის ყანა, რომელშიც მიდის მძლავრი კომბაინი. ციფრები მოგვითხრობენ: 1951 წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი 7 მილიარდ და 400 მილიონ ფუთს შეადგენდა.

დემონსტრანტთა რიგებში არიან სახელგანთქმული მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, კინოს მუშაკები, უძველესი რუსული თეატრების — დიდი, მცირე, გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრების მსახიობები.

წითელ მოედანზე კვლავ შემოდის ათასობით მოსკოველი.

ამ სასიხარულო დღეს საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მიესალმებიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს, გამარჯვებას უსურვებენ დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც ახალ წარმატებებს აღწევს სახალხო-დემოკრატიული ჩინეთის მშენებლობაში. სსრ კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი მეგობრობა და ურთიერთდახმარება დემოკრატიისა და მშვიდობის ქვეყნების ბანაკის ძალისა და ძლიერების წყაროა. დემონსტრანტები ძმური სალამით მიმართავენ მამაც კორეელ ხალხს, რომელიც გმირულად იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენი ხალხი სოლიდარობას უცხადებს გერმანიის დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან ევროპაში იმპერიალისტური აგრესიის ბაზად დასავლეთ გერმანიის გადაქცევის დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ.

დემონსტრანტებს მოაქვთ პორტრეტები საზღვარგარეთელი პროგრესული მოღვაწეებისა, რომლებიც მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლას, — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლიუ-შაო-ცის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ჯუ დეს პორტრეტები.

ტრანსპარანტებზე წარწერილია დიადი მნიშვნელობის სიტყვები: „მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!". მანიფესტანტებს მოაქვთ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის და პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იუზეფ ცირანკევიჩის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ანტონინ ზაპოტოცკის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვილკო ჩერვენკოვისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის გიორგი დამიანოვის, უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივნის მატიას რაკოშის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იშტვან დობის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის შანდორ რონაის, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გ. გეორგიუ-დეჟის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პეტრუ გროზას და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის კონსტანტინე პარხონის, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ენვერ ხოჯასა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ომერ ნიშანის, მონღოლი ხალხის ბელადის მარშალ ჩოიბალსანის პორტრეტები.

დემონსტრანტების თავზე მოჩანს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტევოლის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვალტერ ულბრიხტის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის პორტრეტები.

მოჩანს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის კიმ დუ ბონის პორტრეტები.

კოლონების თავზეა ფრანგი ხალხის ბელადის მორის ტორეზის, იტალიელი ხალხის ბელადის პალმირო ტოლიატის, ამერიკის რევოლუციური მუშათა კლასის ბელადის უილიამ ფოსტერის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დოლორეს იბარურის, ინგლისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ჰარი პოლიტის პორტრეტები.

პირველი მაისის დღესასწაული მიმდინარეობს დემოკრატიისა და მშვიდობის მძლავრი ბანაკის შემდგომი ზრდისა და დარაზმვის, კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გამწვავების ვითარებაში. საერთაშორისო სოლიდარობის დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელნი ძმურ სალამს უძღვნიან ყველა ხალხს, რომელიც იბრძვის აგრესორთა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის.

დღის ხუთი საათია. მოსკოვის ოცდახუთივე რაიონის დემონსტრანტთა კოლონებმა ჩაიარეს წითელ მოედანზე. სადღესასწაულო დემონსტრაციას ამთავრებენ ფიზკულტურელები. უზარმაზარი ასოებისაგან, რომლებიც სპორტსმენებს მოაქვთ, იქმნება სიტყვები, რომლებიც საბჭოთა ადამიანების დევიზი გახდა:

— წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საერთაშორისო დღესასწაულის დღეს—პირველ მაისს დედაქალაქის მშრომელებმა კვლავ გამოხატეს თავიანთი მხურვალე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

დემონსტრაცია იყო მკაფიო გამოხატულება საბჭოთა ადამიანების ძმური სოლიდარობისა ყველა ქვეყნის მშრომელებთან ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მილიონზე მეტმა კაცმა.

• • •

გუშინ მოსკოვი გაჩირაღდნებული იყო სადღესასწაულო ილუმინაციით. ქალაქის ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე.

საღამოს ათ საათზე მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად მოსკოვში მიცემულ იქნა სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით. (საქდესი).

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ზეიმითა და სიხარულით, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოსათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით აღინიშნა პირველი მაისი საქართველოს დედაქალაქში. ირიჟრაჟა თუ არა, უჩვეულოდ გამოცოცხლდნენ ქუჩები და მოედნები. მაისის ადრიან დილით საზეიმო ელფერი მოსავდა თბილისის გულს — ბერიას მოედანს, ქართველი ხალხის მრავალი დღესასწაულისა და სიხარულის მომსწრეს. შენობათა ფასადებზე ფრიალებენ წითელი დროშები. მოჩანს უამრავი ტრანსპარანტი, რომლებზეც წარწერილია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფასადზეა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელების — ლენინისა და სტალინის პორტრეტები. შენობის თავზე ნიავი ლაღად არხევს საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო დროშას.

...მოედანზე დილიდანვე ჩამწკრივდნენ გარნიზონის ჯარის ნაწილები საპირველმაისო პარადში მონაწილეობის მისაღებად. დღესასწაულის დაწყების მოლოდინში მოედნის გარშემო თავი მოიყარეს დედაქალაქის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებმა. ესენი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები, სტალინური პრემიის ლაურეატები, საწარმოთა სტახანოველები, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ახლოვდება პარადის დაწყების დრო. საათის ისარი ათს უახლოვდება. მთავრობის ტრიბუნაზე გამოჩნდნენ ამხანაგები: ა. მგელაძე, ზ. კეცხოველი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. კვირკველია, ვ. ბუჯიაშვილი, ვ. ბაქრაძე, ნ. რუხაძე, კ. ბუჯიაშვილი, კ. ციმაკურიძე, გენერლები, მინისტრები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები.

სრულ ათ საათზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ალაყაფის კარიდან მოედანზე ცხენით გამოდის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი ამხ. ანტონოვი. მას ეგებება პარადის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ამხ. დანილოვი და აძლევს პატაკს პარადისათვის გარნიზონის ჯარების მზადყოფნის შესახებ. ამხ. ანტონოვი იწყებს ჯარების ჩამოვლას, ულოცავს მეომრებს პირველი მაისის დღესასწაულს. პასუხად გრიალებს მძლავრი „ვაშა".

რამდენიმე წუთს მოედანზე სიწყნარე მყარდება. მაგრამ აი ორკესტრმა დიდებულადააჟღერა გლინკას უკვდავი მელოდია „იდიდე". მთავრდება ჯარების ჩამოვლა. ამხ. ანტონოვი ტრიბუნაზე ადის და საქართველოს სსრ მთავრობის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით სიტყვით მიმართავს ჯარის ნაწილებს, საბჭოთა საქართველოს მშრომელებს.

ამხ. ანტონოვი ლაპარაკობს იმ უდიდეს პატრიოტულ აღმავლობაზე, რითაც კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი და კერძოდ ქართველი ხალხი აღნიშნავს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — 1 მაისს. იგი ჩერდება მშვიდობის მომხრეთა მძლავრ ბრძოლაზე ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

დასასრულ ამხ. ანტონოვი დღეგრძელობას უსურვებს ჩვენს დიდ სამშობლოს, მის გმირ ხალხს, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა მთავრობას, ბოლშევიკების სახელოვან პარტიას, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, მშვიდობის დიდ მედროშეს ამხანაგ სტალინს.

მოედანზე კვლავ იგრიალა მეომრულმა „ვაშამ". საზეიმოდ გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ჰანგები, რასაც ცვლის საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მელოდია. გრგვინავს საარტილერიო სალუტის ზალპები.

• • •

მამაცი საბჭოთა არმიის, განმათავისუფლებელი არმიის ოფიცერთა ჯგუფი იწყებს საპირველმაისო პარადს, რომელმაც კვლავ და კვლავ ცხადყო ჩვენი ძლევამოსილი შეიარაღებული ძალების სიმტკიცე და შეუდრეკლობა, დაადასტურა საბჭოთა საბრძოლო ტექნიკის ძალა და დიდება. პარადის მონაწილე ოფიცრებს შორის არიან სამამულო ომის სახელოვანი მეომრები, ისინი, ვინც საკუთარი მკერდით იცავდა საყვარელი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მოედანზე შემოდიან საბჭოთა შეიარაღებული ძალების სხვადასხვა გვარეობის ჯარის ნაწილები. მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან მძლავრი საბჭოთა არტილერიის გამოჩენას. საბჭოთა მეომრები კანონიერად ამაყობენ მსოფლიოში პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით, რომლითაც ისინი ჩვენმა სამშობლომ შეაიარაღა. ამ შესანიშნავი ტექნიკით აღჭურვილი, დიდი სტალინის გენიით აღფრთოვანებული გმირი საბჭოთა არმია მუსრს ავლებდა გერმანელ ფაშისტებს და იაპონელ იმპერიალისტებს, თავისუფლება მიჰქონდა ევროპისა და აზიის დამონებული ხალხებისათვის. უდიდესი და განუზომელია საბჭოთა არმიის დამსახურება მიხაკისფერი ჭირისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეში... განადგურება და გარდუვალი დაღუპვა მოელით ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლებსაც, რომლებიც ივიწყებენ ისტორიის გაკვეთილებს.

მოედანზე გაიარა ნაკრებმა ორკესტრმა და ამით დამთავრდა პარადის მონაწილეთა საზეიმო მარში.

პარადი დამთავრებულია. მან ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრები, რომლებიც ყოველდღიურად სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას, ფხიზლად დგანან ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე.

• • •

იწყება დედაქალაქის მშრომელთა ტრადიციული საპირველმაისო დემონსტრაცია.

ლენინის რაიონის დემონსტრანტთა მრავალრიცხოვან კოლონებს წინ მოუძღვიან პიონერ-მოსწავლეები — ჩვენი ქვეყნის ბედნიერი თაობა. კომუნიზმის მომავალ მშენებლებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ გულმოდგინედ და მტკიცედ დაეუფლონ ცოდნას, გახდნენ ლენინ-სტალინის საქმისათვის აქტიური მებრძოლნი. დემონსტრაციის ბევრ ახალგაზრდა მონაწილეს მოაქვს ლოზუნგები, რომლებშიც გამოხატულია მთელი მსოფლიოს მშრომელთა მისწრაფება მშვიდობისადმი. მტკიცე და მხნე ნაბიჯით ჩაიარეს ახალგაზრდა ფიზკულტურელებმა.

დაუსრულებელ ნაკადად მოდიან დემონსტრანტები. მათ შორის არიან დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები, კიროვის სახელობის ქარხნის დაზგათმშენებლები, რომლებიც წარმატებით ასრულებენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთებს, პლასტმასის ქარხნის, საორთქლმავლო დეპოს და სხვა საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები. ისინი სამშობლოს უპატაკებენ ახალ საწარმოო გამარჯვებათა შესახებ.

ლენინის რაიონის მშრომელები ამაყობენ, რომ ნახევარი საუკუნის წინათ ამ რაიონის ტერიტორიაზე ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა მუშათა პირველ მარქსისტულ წრეებს, რაზმავდა თბილისელ მუშებს თვითმპყრობელობის დასამხობად. რაიონის მშრომელებს მოაქვთ ლოზუნგები, რომლებიც გამოხატავენ დიდი სტალინის წინამძღოლობით მოპოვებული ბედნიერი და საამური ცხოვრების სიდიადეს, მოაქვთ წითელი დროშები, ლენინისა და სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

სტალინის რაიონის დემონსტრანტთა კოლონებში ბევრგან შენიშნავდით საწარმოთა კოლექტივების მიღწევების ამსახველ დიაგრამებს, კომუნიზმის დიად მშენებლობათა, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმების სქემებს. ახალი საწარმოო მაჩვენებლები მიუძღვნეს პირველ მაისს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველომ, თამბაქოს პირველმა ფაბრიკამ და სხვ. მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის 4 თვის საწარმოო გეგმა 14 აპრილისათვის შეასრულა. საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლებმა ტრიბუნის წინ ჩაიარეს იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ერთი წუთითაც არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, დაძლიონ თავიანთ მუშაობაში ჩრდილოვანი მხარეები, რომლებიც თან ახლავს წარმატებებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შორის, რომლებმაც ტრიბუნასთან გაიარეს, იყვნენ სტალინური პრემიის ლაურეატები. ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა და უმაღლესი ჯილდოებით აღნიშნა მათი ღვაწლი დედა სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საქმის საკეთილდღეოდ.

ტრიბუნის წინ მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს მოლოტოვის, ბერიას, ორჯონიკიძის, კიროვისა და 26 კომისრის რაიონების მშრომელთა კოლონებმა.

დემონსტრანტთა შორის იყვნენ მუშები და ინჟინრები, პროფესორები და მასწავლებლები, ექიმები და სტუდენტები, მოსწავლეები, სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა ასაკის ადამიანები. აქ არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიური, თეატრალური ინსტიტუტების, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები. თვით ამ უმაღლეს სასწავლებელთა სახელების უბრალო ჩამოთვლაც კი მოწმობს, რომ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში შემავალი რესპუბლიკების კულტურისა და მეცნიერების გაფურჩქვნისათვის. ამიტომაც დემონსტრაციის მონაწილენი თავიანთი მადლობის პირველ სიტყვას მიმართავდნენ იმისაკენ, ვინც შეგვიქმნა ეს ნათელი ცხოვრება, ვინც მოგვცა საშუალება წინსვლისა და აყვავებისა, ჩვენი შემოქმედებითი ძალების ზრდისა და დავაჟკაცებისა.

დემონსტრანტები ძმური სალამის სიტყვებს უძღვნიდნენ ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. მშრომელთა ერთ ჯგუფს მოჰქონდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის პორტრეტი. ამით ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი სიყვარული დიდი ჩინელი ხალხისადმი, რომელმაც თავიდან მოიშორა იმპერიალისტთა ბატონობის უღელი და ახალი ცხოვრების აშენებას შეუდგა. დემონსტრანტთა კოლონებში ბრწყინავდა წითელ ტრანსპარანტზე წარწერილი სიტყვები:

—ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელმაც ახალი წარმატებანი მოიპოვა სახალხო-დემოკრატიული ჩინეთის მშენებლობაში!

ბევრ პლაკატზე იყო მისალმების სიტყვები მამაცი კორეელი ხალხისადმი, რომელიც გმირულად იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

მშრომელთა კოლონებიდან ყოველ წუთს გაისმოდა შეძახილები:

— დიდება ლენინ-სტალინის პარტიას!

—მშვიდობა — მსოფლიოს!

—გაუმარჯოს დიდ სტალინს!

დედაქალაქის მშრომელები გამოხატავდნენ ულრმეს სიყვარულს საბჭოთა მთავრობისადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, მშვიდობის საქმისადმი.

თბილისის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია ოთხ საათნახევარზე მეტხანს გაგრძელდა. მასში მონაწილეობა მიიღო 250.000-ზე მეტმა კაცმა.

• • •

პირველი მაისის დღესასწაულმა საქართველოს დედაქალაქში ჩაიარა, როგორც საბჭოთა პატრიოტიზმის ბრწყინვალე დემონსტრაციამ, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის გარშემო ხალხის მტკიცე დარაზმულობის ახალმა მკაფიო გამოხატულებამ. თბილისის ქუჩები, მოედნები, სკვერები გვიან ღამემდე სავსე იყო მოზეიმე ხალხით. საზაფხულო პარკებში გაიმართა დიდი სახალხო სეირნობანი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის აღსანიშნავად.

საღამოს ნაირფერად აელვარებულ და სადღესასწაულოდ მორთულ ქალაქში დაიქუხეს საარტილერიო სალუტის ზალპებმა. თბილისი ზეიმობდა, სიყვარულისა და მადლობის სიტყვებს უძღვნიდა ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემოქმედს, კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარს მშობლიურ სტალინს.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი საპირველმაისო დემონსტრაციაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი მაისის ზეიმი საქართველოში

## ქუთაისი

საოლქო ცენტრი სადღესასწაულო ლოზუნგებით, დროშებითა და ყვავილებით მორთული შეეგება პირველ მაისს. სტალინის სახელობის მოედანზე 11 საათსა და 45 წუთზე ტრიბუნაზე ავიდნენ ოლქისა და ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, ლიტერატურის, ხელოვნების წარმომადგენლები, წარმოების ნოვატორები.

დემონსტრაცია დაიწყეს ფიზკულტურელებმა. ტრიბუნის წინ მტკიცე ნაბიჯით ჩაიარა სამი ათასამდე ჭაბუკმა და ქალიშვილმა, მათ მიერ შესრულებულმა სხვადასხვა ვარჯიშმა ცხადყო ქალაქის ახალგაზრდობის წარმატებანი სასპორტო მუშაობის დარგში.

პედაგოგიური ინსტიტუტის, საშუალო სკოლების, სატყეო, სამთო, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების, პედაგოგიურ და მუსიკალურ სასწავლებელთა სტუდენტების და მოსწავლეების შემდეგ ტრიბუნასთან ჩაიარეს ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივების კოლონებმა.

საწარმოთა კოლონებს წინ მიუძღოდა ავტოგიგანტის კოლექტივი, რომელსაც ამშვენებდა დროშების ტყე და ახლახან გამოშვებული თვითდასაცლელი მანქანა „კაზ-485-ბ“.

მეავტომობილენი შეცვალეს მანქანათმშენებლებმა. მათ გამოიტანეს ორიგინალურად გაკეთებული მაკეტი, რომელიც გამოხატავს ქარხანაში დამზადებული წყალსატუმბავის მუშაობას.

აბრეშუმკომბინატის, საკონსერვო ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკის, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, რკინიგზის კვანძისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს მოჰქონდათ წარწერები საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდების შესახებ.

დემონსტრაცია 3 საათს გაგრძელდა. მასში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა. (საქ. კორ.).

## სუხუმი

ლამაზად იყო მორთული 1 მაისს დილით საბჭოთა აფხაზეთის დედაქალაქი სუხუმი. მისი ქუჩები და პარკები დამშვენებულია მრავალი ახალი მცენარით, ყვავილებით. დღესასწაულის წინა დღით სუხუმელებმა სახალხო მშენებლობის მეთოდით დაამთავრეს თბილისის გზატკეცილის რეკონსტრუქციისა და გამწვანების დიდი სამუშაოები, ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს მაგისტრალად გადააქციეს ეს გზატკეცილი.

ზღვის ნიავი აფრიალებს სახლების ფრონტონებზე ალისფერ ბაირაღებს. შენობებზე მოჩანს წითელი ტილოები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებით, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები, რომლებიც ჩასმულია მწვანისა და ყვავილების გირლანდებში.

დღის 12 საათია. სადღესასწაულო მსვლელობას იწყებს მედროშეთა ნაკრები კოლონა, შემდეგ ტრიბუნას ჩაუარეს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. მოდიან მეთამბაქოეები, მეკონსერვეები, მეფეხსაცმელეები, რკინიგზელები, საზღვაო ნავსადგურის, სანავსადგურო მოწყობილობის ქარხნის, კავშირგაბმულობის, კომუნალურ საწარმოთა მუშაკები.

კოლონების თავზე მოჩანს საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, მრავალი ტრანსპარანტი, რომლებიც მოგვითხრობენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებზე.

გაისმის საზეიმო მარშის ჰანგები, ქუხს ათასხმოვანი „ურა“, „ვაშა“ ძლევამოსილი სოციალისტური სამშობლოს პატივსაცემად, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის პატივსაცემად, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

სხვადასხვა ფერის მაისურებით გამოწყობილი მოდიან ფიზკულტურელები, რომლებიც დამსწრეთ უჩვენებენ თავიანთ ძალასა და სიმკვირცხლეს. შემდეგ ჩაიარეს მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, პედაგოგებმა, სამედიცინო დაწესებულებათა, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებმა. კოლონებიდან გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!“, „დიდება მშვიდობის მედროშეს დიდ სტალინს!“.

სუხუმის მშრომელთა დემონსტრაციამ 2 საათზე მეტ ხანს გასტანა. საპირველმაისო ზეიმი შუაღამემდე გაგრძელდა.

## ბათუმი

საპირველმაისო დემონსტრაცია, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გახსნა აჭარის უდიდესმა საწარმომ—სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კოლექტივმა. მენავთეთა მრავალრიცხოვან კოლონას მოჰყვნენ ბათუმელი რკინიგზელები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

მოედანზე შემოვიდა კოფეინის ქარხნის სახელოვანი კოლექტივი, რომელმაც 4 თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 128 ათასი მანეთის კოფეინი.

მიმზიდველი და საინტერესო იყო ბათუმის პიონერ-მოსწავლეთა კოლონების გამოსვლა. მათ მრავალფეროვანი ვარჯიში, თამაშობა და ცეკვა შეასრულეს. ბავშვთა კოლონებს ამშვენებდა პლაკატები და ლოზუნგები, რომლებშიც გამოხატული იყო უსაზღვრო მადლობის გრძნობა საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერების შემოქმედის დიდი სტალინისადმი.

მოედანზე მწყობრად და ლამაზად ჩაიარეს საზღვაოსნო სასწავლებლის, ტექნიკუმებისა, ფიზკულტურული ორგანიზაციების, მანქანათმშენებლობის, მომთუთიებლების, მეფეხსაცმელეების, ციტრუსკომბინატის მუშაკების, მკერავების, მეთამბაქოეების, სავაჭრო ორგანიზაციების, ჯანმრთელობის დაცვის, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა მრავალრიცხოვანმა კოლონებმა.

ბათუმელ მშრომელთა დემონსტრაცია სამ საათს გაგრძელდა. მასში მონაწილეობა მიიღო 50 ათასამდე კაცმა. (საქ. კორ.).

## სტალინირი

სტალინის სახელობის მოედნისაკენ, სადაც აღმართული იყო ტრიბუნა, დილის 11 საათსა და 30 წუთზე დაიწყო პარადის მონაწილეთა კოლონების სვლა.

მოზეიმეთა მოწინავე რიგებში მოჩანან ქალაქ სტალინირის საწარმოების მოწინავე ადამიანები, რომლებმაც წარმატებით გაანაღდეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

მწყობრი რიგებით ჩაიარეს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, სამხატვრო სასწავლებლის, სამედიცინო ტექნიკუმისა და ზოოტექნიკუმის, ქალაქის სკოლების მოსწავლეებმა.

მოსწავლე ახალგაზრდობის კოლონებს მოაქვთ მაისის ყვავილებით ამოქარგული ძვირფასი წარწერები: „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში“, „დიდება დიდ სტალინს!“

სტალინირში გამართული საპირველმაისო დემონსტრაცია ლენინ-სტალინის საქმისადმი, მშვიდობისადმი ხალხის უსაზღვრო ერთგულების ახალი, მკაფიო გამოხატულება იყო. (საქ. კორ.).

# საპირველმაისო ზეიმის დღეები თბილისში

ბუნებისა და ხალხის ნამდვილი ზეიმით აღინიშნა მაისის პირველი დღეები საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში. საპირველმაისო პარადისა და მშრომელთა მრავალათასიანი დემონსტრაციის შემდეგ, საღამოს სადღესასწაულოდ მორთულ, გაჩირაღდნებულ ქუჩებში უჩვეულოდ დიდი მოძრაობა იყო. ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებულმა, ათასფერად მორთულმა პარკებმა ფართოდ გაუღეს კარი მშრომელთ. 1-2 მაისს მრავალი მაყურებელი ეწვია თეატრებს, სტადიონებს. ათასობით მშრომელმა ნახა მუზეუმები, ქალაქის ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილები. მუშა-მოსამსახურეებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა მოაწყეს სამაისო მასობრივი გასვლა ქალაქგარეთ.

პირველი და ორი მაისი მრავალმა მშრომელმა სამგორის წყალსაცავის მიდამოებში გაატარა. მაცოცხლებელ ივრის წყალს თითქმის დაუფარავს მლაშე ტბების მიდამო — ყოველი ჩვენგანის გულში ღრმად შთაბეჭდილი ისტორიული ადგილი, დაკავშირებული ხალხთა დიდი ბელადის ბრძენი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის თბილისის პერიოდთან. ამ ორმოცდათერთმეტი წლის წინათ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აქ მოეწყო თბილისის მუშათა არალეგალური მაისობა. დღეს მთელი ძალით დამკვიდრებულა გაზაფხული სამგორში.

სასპორტო საზოგადოებანი, თეატრები, პარკები, ახალი საინტერესო პროგრამებით შეხვდნენ მაისის დღესასწაულს. ს. ორჯონიკიძის სახელობის თბილისის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში 1 და 2 მაისს მოეწყო სახალხო სეირნობა. პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი დედაქალაქის თეატრებისა და ესტრადის მსახიობთა საუკეთესო ძალების მონაწილეობით. ახალ შესანიშნავ პავილიონში მრავალმა მაყურებელმა ნახა საბჭოთა ავიაციისა და საზღვაო ფლოტისათვის მიძღვნილი გამოფენა. ეს ახალი პავილიონი განკუთვნილია საქართველოს მხატვრების ნამუშევართა მუდმივი გამოფენისათვის. 1 მაისს პარკში გაიხსნა დედაქალაქის ნორჩი თაობისათვის ესოდენ საყვარელი საბავშვო რკინიგზა. პარკში მუშაობდნენ საბავშვო და ფიზკულტურის მოედნები, საბილიარდო, პლანეტარიუმი, საპარაშუტო კოშკი, კარუსელი. პარკს მაისის პირველ ორ დღეში 30.000-მდე მშრომელი ეწვია.

ასეთივე საინტერესო, მრავალფეროვანი პროგრამით მოემსახურა თბილისის მშრომელთ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულიორის პლატოზე).

კინოთეატრებში მაყურებლებმა კვლავ უდიდესი ინტერესით ნახეს შესანიშნავი ფილმი „ბერლინის დაცემა“, აგრეთვე სხვა კინოფილმები.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის საჩოგბურთო მოედანზე 2 მაისს ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის უძლიერესი ჩოგბურთელები. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 80 სპორტსმენი. იმავე დღეს ველოსტადიონზე გაიმართა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ველოსიპედისტთა საჩვენებელი გამოსვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40 სპორტსმენმა. შეჯიბრებაში მონაწილე ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა გუნდმა 4 კილომეტრზე გუნდურ სვლაში საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. სპორტულმა სანახაობებმა მრავალი ათასი მაყურებელი მიიზიდა.

ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოს“ და ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდები. შეჯიბრებაში გაიმარჯვა ოფიცერთა სახლის გუნდმა ანგარიშით 1:0. შეჯიბრებას 30.000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

ხალისიანად გაატარეს თბილისის მშრომელებმა მაისის საზეიმო დღეები.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 30 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 30 აპრილს გამოაცხადა:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვით ბრძოლებს წინანდელ ზღუდეებზე.

აღმოსავლეთისა და ცენტრალურ ფრონტების ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგის მცირე შენაერთებმა არტილერიისა და ავიაციის დახმარებით რამდენჯერმე სცადეს მოეხდინათ დაზვერვა ბრძოლით. ჩვენი ნაწილების ცეცხლით მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა.

გუშინ და დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ფრონტებზე და ზურგში ჩამოაგდეს მტრის 6 ავიაგამანადგურებელი.

**ფხენიანი**, 1 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს.

30 აპრილს კიმსონის სამხრეთით და მუნდონის რაიონში წარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები. ამერიკელ-ინგლისელმა ინტერვენტებმა და ლისინმანელთა ჯარებმა სამჯერ მოიტანეს იერიში სახალხო არმიის თავდაცვის ხაზების წინააღმდეგ, მაგრამ უკუგდებულ იქნენ ზარალით.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის შვიდი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროს რაიონებზე თავდასხმებში.

**ფხენიანი**, 2 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით კვლავ თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან.

საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 6 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროს რაიონებზე თავდასხმებში.

# საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივი კომისია პროტესტს აცხადებს გენერალ რიჯუეის დანიშვნის წინააღმდეგ

**პარიზი**, 30 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ აქვეყნებს მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივი კომისიის შემდეგ განცხადებას:

„მშვიდობისათვის მოძრაობა, რომელიც გამოდის ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის პოლიტიკის წინააღმდეგ და რომელსაც ეროვნული დამოუკიდებლობის სრული დაკარგვისაკენ მიჰყავს საფრანგეთი, უაღრესად ენერგიულ პროტესტს აცხადებს ევროპაში ატლანტიკის კოალიციის ჯარების სარდლად გენერალ რიჯუეის დანიშვნის წინააღმდეგ. საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც ხელს უწყობს ამას, კვლავ ხელყო საფრანგეთის ღირსება.

ხელი მოაწერა რა დანიშვნას, პრეზიდენტმა ტრუმენმა განაცხადა, რომ ეს პოსტი მოითხოვს ბრძოლის თანამედროვე მეთოდების განსაკუთრებულ ცოდნას.

ბრძოლის მეთოდებს, რასაც გენერალი რიჯუეი იყენებს კორეაში, მოჰყვა ქალაქების სრული მოსპობა, მშვიდობიანი მოსახლეობის სისტემატური გაჟლეტა, მასობრივი მოსპობის იარაღის: ნაპალმის, მომწამლავი გაზების, ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება.

ამ გენერლის დანიშვნა კიდევ უფრო ცხადად უჩვენებს საზოგადოებრივ აზრს, თუ რა საფრთხე მოელის საფრანგეთსა და მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივი კომისია მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის მომავალი და მშვიდობის შენარჩუნება, შეუერთდეს ამ პროტესტს“.

# საფრანგეთის თვითმფრინავმა დაარღვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაფრენის წესი

**ბერლინი**, 30 აპრილი. (საკდესი). გუშინ გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების ჯგუფის შტაბის უფროსის მოადგილემ გენერალ-მაიორმა ტრუსოვმა საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების შტაბის უფროსის მოადგილეს პოლკოვნიკ მეიერს პროტესტი გაუგზავნა საფრანგეთის თვითმფრინავის მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაფრენის წესის დარღვევის გამო.

წერილში აღნიშნულია, რომ 1952 წლის 29 აპრილს სი-54 ტიპის თვითმფრინავი ქალაქ გოთას ჩრდილოეთით გამოვიდა დაწესებული საჰაერო კორიდორიდან და 10 საათსა და 30 წუთზე მიაღწია ქალაქ მერზებურგს, რომელიც მდებარეობს 25 კილომეტრზე კორიდორის საზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აღმოაჩინეს რა წესის დამრღვევი, საბჭოთა ავიაგამანადგურებლები 10 საათსა და 32 წუთზე აფრინდნენ ჰაერში და 2.500 მეტრ სიმაღლეზე გზა გადაუჭრეს თვითმფრინავს სი-54. თვითმფრინავის ეკიპაჟისათვის მიცემულ სიგნალებს დაშვების შესახებ ეკიპაჟი არ დაემორჩილა და თვითმფრინავი უფრო ღრმად შედიოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქალაქ ლაიპციგის მიმართულებით. რათა დამრღვევი აეძულებინა დაშვებულიყო, ერთ-ერთმა საბჭოთა მფრინავმა გამაფრთხილებელი სროლა აუტეხა თვითმფრინავს წინიდან. ამის შემდეგ თვითმფრინავი სი-54 ღრუბლებში მიიმალა. შემდგომი თვალყურის დევნებით გამორკვეულ იქნა, რომ თვითმფრინავი სი-54 11 საათსა და 02 წუთზე დაეშვა ტემპელჰოფის აეროდრომზე.

გენერალმა ტრუსოვმა საფრანგეთის ხელისუფალთაგან მოითხოვა ღონისძიებათა მიღება, რათა მომავალში არ იქნას დაშვებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჰაერო გადაფრენის წესების დარღვევის შემთხვევათა განმეორება.

# საბჭოთა მთავრობამ გერმანელ ხალხს საკუთრებად გადასცა 66 საწარმო

**ბერლინი**, 2 მაისი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიულმა პრესამ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საბჭოთა სააქციო საზოგადოების 66 საწარმო.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება გერმანელი ხალხის საკუთრებად საბჭოთა სააქციო საზოგადოების საწარმოთა გადაცემის შესახებ წარმოადგენს ჩვენი ხალხის მშვიდობისა და დემოკრატიის ძალებისადმი საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი რწმენის გამოხატულებას. ამით საბჭოთა მთავრობა კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს გერმანელი ხალხის სუვერენიტეტის აღიარების თავის პოლიტიკას, როგორც ეს წამოყენებულია მის ნოტებში დასავლეთის სახელმწიფოებისადმი, როგორც გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების საფუძველი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მთელი გერმანელი ხალხი მადლიერებითა და სიხარულით მიიღებს საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას როგორც მეგობრობის ახალ დიდსულოვან აქტს.

საბჭოთა სააქციო საზოგადოების საწარმოები დიდ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი მშვიდობიანი მეურნეობის მშენებლობაში. საბჭოთა დირექტორებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს ამ საწარმოთა მშენებლობის დროს და მათი საქმიანობა მაღალ ტექნიკურ დონეზე გაშალეს. საბჭოთა სააქციო საზოგადოების საწარმოთა პროდუქცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დროიდან ჩვენი სახალხო-სამეურნეო გეგმის ნაწილია.

აღნიშნულ 66 საწარმოს შორის არიან მურაქვანახშირისა და კალიუმის კომბინატები, კაბელის საწარმოები და საკუმულატორო ქარხანა ბერლინში, გემთსაშენი ვერფი „ნეპტუნი“ როსტოკში, აიზენახის საავტომობილო ქარხანა „ბმვ“ აიზენახში, ვაგონმშენებელი ქარხნები, ლითონდამმუშავებელი და სხვა საწარმოები.

შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ცნობაში ნათქვამია:

„ამ კარგად მომუშავე და მაღალგანვითარებულ საწარმოთა გადმოსვლა ჩვენი ხალხის საკუთრებაში შესაბამის სამინისტროებს, საწარმოთა ხელმძღვანელობასა და საწარმოთა კოლექტივებს აკისრებს ვალდებულებას იზრუნონ იმაზე, რომ არ შემცირდეს ამ საწარმოთა პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი და რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი შემდგომი განვითარება.

დაე ჩვენმა მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა შეიგნონ მაღალი პასუხისმგებლობა ამ საწარმოთა შემდგომი განვითარებისათვის და მშვიდობის შენარჩუნებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გაძლიერებით მადლობა უძღვნან დიდ სტალინს და საბჭოთა ხალხს საბჭოთა მთავრობის დიდსულოვანი გადაწყვეტილებისათვის“.

ამ ცნობასთან ერთად ქვეყნდება იმ 66 საწარმოს სია, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უნდა გადასცეს.

# ბულგარეთის მთავრობის ნოტა თურქეთისადმი

**სოფია**, 2 მაისი. (საკდესი). გუშინ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთის მისიას სოფიაში გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია სოფიაში თურქეთის მისიის ყურადღება მიაქციოს შემდეგს:

1952 წლის 26 აპრილს 15 საათზე 1,5 ტონა წყალწყვის თურქეთის მოტორიანი გემი, რომლის ეკიპაჟს ხუთი კაცი შეადგენდა, შემოვიდა ბულგარეთის ტერიტორიულ წყლებში მალკოტირნოვის ოკოლიის სოფელ რეზოვოს რაიონში ბულგარეთის შესაბამის ხელისუფალთა წინასწარ უცნობებლად და ნებართვის მიუღებლად. გემი გაემართა ბულგარეთის ნაპირისაკენ. როცა იგი ერთ კილომეტრზე მიუახლოვდა ნაპირს, ბულგარეთის სანაპირო დაცვის გუშაგმა სიგნალი მისცა გემს შეჩერებულიყო. ნაცვლად იმისა, რომ დამორჩილებოდა სანაპირო დაცვის კანონიერ მოთხოვნას, გემის ეკიპაჟმა სროლა აუტეხა გუშაგს. გემი გაჩერდა მხოლოდ მაშინ, როცა სანაპირო დაცვამ თურქეთის გემის სროლის საპასუხოდ რამდენჯერმე გაისროლა გაფრთხილების ნიშნად.

იმისათვის, რომ შეემოწმებინათ სხვის ტერიტორიულ წყლებში უნებართვოდ შემოსული გემი, ბულგარეთის სანაპირო დაცვის 3 კაცი კარჭაპით გაემართა გემისაკენ. როცა კარჭაპი მას 200 მეტრზე მიუახლოვდა, თურქთა ეკიპაჟი, მიუხედავად სასაზღვრო დაცვის მოთხოვნისა, სრული სვლით წავიდა თურქეთის ტერიტორიული წყლებისაკენ და გაჩერდა თურქეთის სასაზღვრო პოსტთან, რომელიც მდებარეობს ერთ კილომეტრზე სოფელ რეზოვოს სამხრეთ-დასავლეთით. თურქეთის სასაზღვრო პოსტის შენობიდან გამოვიდა ექვსი ჯარისკაცი, რომლებმაც სამოქალაქო ტანსაცმლით გამოწყობილ 20 შეიარაღებულ პირთან ერთად დაიკავეს ბულგარეთის ტერიტორიისაკენ მიმართული პოზიციები.

თურქეთის სასაზღვრო ორგანოების მიერ ჩადენილი ეს ახალი უხეში დარღვევა უშუალოდ მოსდევს თურქეთის ხელისუფალთა მთელ რიგ სხვა პროვოკაციებს, რომელთა შესახებაც საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის პროტესტს გამოთქვამდა. ხერხი, რომლითაც ჩადენილ იქნა ეს ახალი პროვოკაცია, ცხადყოფს, რომ იგი მოწყობილი იყო წინასწარ და მიმართული იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული ხელშეუხებლობის წინააღმდეგ.

თურქეთ-ბულგარეთის საზღვარზე ამ უკანასკნელ ხანებში თურქეთის სასაზღვრო ორგანოების მიერ გახშირებული დარღვევები და პროვოკაციები არაორაზროვნად გვიჩვენებენ, რომ ამ პროვოკაციების ჩამდენნი მოქმედებენ თურქეთის პასუხისმგებელ ხელისუფალთა კარნახით და რომ ეს პროვოკაციები პირდაპირი შედეგია იმ აგრესიული პოლიტიკისა, რომელსაც ეწევა თურქეთის მთავრობა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში თურქეთის შეყვანის მომენტიდან.

საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი მთავრობის დავალებით პროტესტს აცხადებს თურქეთის ხელისუფალთა ამ ახალი უხეში პროვოკაციის გამო, რომელიც მიმართულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ და მტკიცედ მოითხოვს, რომ თურქეთის მთავრობამ მიიღოს ყველა საჭირო ზომა მომავალში ასეთ დარღვევათა თავიდან აცილებისათვის.

# გარდაიცვალა ვ. პოპტომოვი

**სოფია**, 2 მაისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს შემდეგი ცნობა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მიმდინარე წლის 1 მაისს დღის 2 საათსა და 45 წუთზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, ამხანაგ გიორგი დიმიტროვის ერთგული თანამებრძოლი, კომუნიზმის საქმისათვის ნაცადი მებრძოლი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ვლადიმერ პოპტომოვი.

# სუდანში გრძელდება საყოველთაო გაფიცვა

**ლონდონი**, 30 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ხარტუმიდან იუწყება, 28 აპრილს ქალაქ ვად-მედანში (ცისფერი ნილოსის პროვინცია) გაიმართა მუშათა მასობრივი დემონსტრაციები, რომლებიც მოეწყო სუდანელ მშრომელთა პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელთა დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. პოლიციამ გაფანტა დემონსტრანტები, იხმარა იარაღი და ცრემლსადენი გაზები. 6 დემონსტრანტი დაჭრილია, 77 კაცი დააპატიმრეს.

სუდანის ხელისუფალნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩაშალონ სუდანელ მშრომელთა საყოველთაო გაფიცვა. ხელისუფლებმა გააფრთხილეს გაფიცვის მონაწილე სახელმწიფო მოსამსახურეები, რომ თუ 1 მაისს მუშაობა არ დაეწყოთ, დათხოვნილ იქნებიან.

მიუხედავად ხელისუფალთა ძალადობისა და მუქარის აქტებისა, სუდანში საყოველთაო გაფიცვა გრძელდება.



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურელები საპირველმაისო დემონსტრაციაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

# საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში

ორშაბათს, 5 მაისს საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა მართავენ ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობების თინა ბურბუთაშვილის, ეკატერინე ვერულაშვილის, პლატონ ახვლედიანის (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) და ალექსანდრე კუპატაძის შემოქმედებით საღამოს.

შესავალ სიტყვას წარმოთქვამს რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა დადიანი, მოხსენებას მსახიობების შემოქმედებითი მუშაობის შესახებ გააკეთებს ამხ. ვ. ჩელთისპირელი.

მხატვრულ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება სცენები ამავე თეატრის დადგმებიდან: ვ. დარასელის — „კოკვიძე“, ვ. პატარაიას — „უჩა უჩარდია“, ა. ოსტროვსკის — „უმზითვო“, კ. გუცკოვის — „ურიელ აკოსტა“ და ვოინიჩის — „კრაზანა“.

საღამო გაიმართება ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) საღამოს 8 საათზე.

# ბოლშევიკური პრესის დღის აღსანიშნავად

## გამოფენები

კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში და ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ბოლშევიკური პრესის დღის აღსანიშნავად გახსნილია გამოფენები.

გამოფენებზე წარმოდგენილია ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის განვითარების მაჩვენებელი დიდძალი საილუსტრაციო მასალები და ლიტერატურა.

## საბავშვო ლიტერატურული დილა

5 მაისს ბოლშევიკური პრესის დღის აღსანიშნავად ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლიტერატურული კაბინეტი აწყობს საბავშვო ლიტერატურულ დილას, რომელზეც მოწვეული არიან საბავშვო მწერლები, საბავშვო ჟურნალების რედაქციების მუშაკები და პოეტები.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

**პირველი გვერდი** — მოწინავე — ბოლშევიკური პრესის დღე. პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე.

საკავშირო ინფორმაციები.

**მეორე გვერდი** — პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე (დასასრული). მშვიდობისა და დიადი შემოქმედების დღესასწაული.

**მესამე გვერდი** — პირველი მაისის დღესასწაული თბილისში. სახალხო ზეიმი საქართველოში.

**მეოთხე გვერდი** — პირველი მაისის დღესასწაული უცხოეთში. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

## 5 მაისს

06.25 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 07.30 — კონცერტი ზაქარია ფალიაშვილის და დიმიტრი არაყიშვილის ნაწარმოებებიდან. 09.20 — ტულიკოვის, მილიუტინის და სოლოვიოვ-სედოის სიმღერები; 11.00 — საუბარი; 11.10 — სუიტა ორი ფორტეპიანოსათვის აუსტერის ბალეტ „ტიინადან“, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის მიძღვნილი ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი; 18.15 — ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია; 19.15 — ნაწყვეტები ოპერებიდან; 19.45 — საუბარი: „ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე“.

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

20.30—რადიოსადგურებით—გადმოცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.30—ქალაქის სატრანსლაციო ქსელით — კონცერტი; 20.45—კამერული მუსიკის კონცერტი; 21.00 — ლექცია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შემსწავლელთა დასახმარებლად: „კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტი“. ამხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე. 21.30 — რუსული ხალხური სიმღერები; 22.45 ქართველი პოეტების ლექსები ბოლშევიკურ პრესაზე; 23.05 — არიები ოპერებიდან; 00.05 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

მოქალაქე პავლე ნიკოლოზის-ძე ცემკომ, მცხოვრებმა სამტრედიის ქ. № 22, აღძრა საქმე ჩიტაძის ქ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ კონსტანტინეს ასულ ნაკაშიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

# დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — მთების გული (დილით), აბესალომ და ეთერი (საღამოს); **რუსთაველის სახელობის**—ადამიანებო, იყავით ფხიზლად! (დილით), რეალი (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — მარინე (დილით), ცეკვის მასწავლებელი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ტოროლები გალობენ (დილას და საღამოს); **სომხური დრამის** — ქალიშვილი ლუსარკეტიდან (დილით), ქორ-ოღლი (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — კონცერტი (დილით), მეგობრები (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—ზამთრის ზღაპარი (10 ს. და 1 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — საგანგებო დავალება (დილას), დუბროვსკი (7 ს.); **თოჯინების ქართული** — წიქარა (11 ს. 1 ს. 3 ს.); **სანკულტურის** — მეგობრები (დილით), საპატიო სტუმარი (საღამოს); **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

# დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის, „ამირანი“, „იხანი“**, — ახალგაზრდობის სიმღერები: **„ოქტომბერი“**. **„თბილისი“, 26 კომისრის სახელობის**—ქართული სიმღერები და ცეკვები; **„სპარტაკი“, კიროვის სახელობის პარკი** — ბერლინის დაცემა; **„კომკავშირელი“** — გაზაფხულის ნაკადი; **„დიდუბე“** — მოსკოვს დაშორებით; **„კოლმეურნე“** — შეხვედრა ელბაზე; **„კოლხიდა“** — საჰაერო მეეტლე.

მშობლები ელენე, რაჟდენ, დები თინათინ, ლალი, ბებიები მაგდანა, ანასტასი, მამიდა ქსენია, ბიძები შალვა, გრიგოლ, ნიკოლოზ, ალექსანდრე, ვარლამ ოჯახებით იუწყებიან **თამაზ რაჟდენის-ძე დოლვერის** გარდაცვალებას, პანაშვიდი 4, 5-V, 8 ს. გამოსვენება 6-V, 6 ს. ფალიაშვილის, 36.

მეუღლე მარიამ, შვილები ნინო, თამარ, გიორგი, ალექსი, რძლები ნათელა, თინა, შვილიშვილები გურამ, ჯემალ, ზურაბ, მარიკო სეხნიაშვილები იუწყებიან **საბა ალექსანდრეს-ძე სეხნიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-V ქ. თელავში.

მეუღლე ნინო, შვილი გუგული, სიძე გრიშა მელაძე, და თამარ, დისწული ლალი გოგოლაძე იუწყებიან **ვანო ტარასის-ძე ჩხენკელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-V, წულუკიძეში, გამოსვენება კრუპსკაიას, 53.

ცოლისდები თებრო, ანა, ევა, ნინო, რძალი თამარ ამზაშვილები ოჯახებით იუწყებიან **საბა ალექსანდრეს-ძე სეხნიაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ოლღა, შვილი ქეთო ნათბილაძეები, შვილიშვილი თამაზ კვირიკაძე იუწყებიან **დიმიტრი როსტომის-ძე ნათბილაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-V, 2 ს. არსენას, 5.

მეუღლე მარიამ, შვილები ლამარა, ნიკოლოზ, ანგელინა, რძალი ნატაშა, სიძე ლევან ზუბიაშვილი და შვილიშვილები იუწყებიან **ლავრენტი ლევანის-ძე გოგუაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-V, 8 ს. გამოსვენება 6-V, 5 ს. ტელეგრაფის ჩიხი, 3.

მეუღლე იოსებ, შვილები აგრაფინა, ლენა, ნუცა, ქეთო, მარო, შვილიშვილები ნუნუ, ლია, მერი, ნანი, სიძეები კ. მენაღარიშვილი, პ. ბარამიძე, დ. მაისურაძე, ი. ჩხაიძე იუწყებიან **დარია ალექსანდრეს ასულ კუკულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-V, ლანჩხუთში.

ბერიას სახელობის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის თანამშრომლები იუწყებიან **დიმიტრი როსტომის-ძე ნათბილაძის** გარდაცვალებას.

სტომატოლოგიური საავადმყოფოსა და ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **ლავრენტი ლევანის-ძე გოგუაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოხი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, ხასოფლო-ხამეურნეოხე — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, უფა-
ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ხამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მოროვისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02855